	მხარდაჭერის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები არიან სკოლის მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელები, მმართველი გუნდის წევრები. მათ მიერ ხორციელდება სკოლის საქმიანობის კვლევა/შეფასება. მიღებული შედეგებისა და შეფასების, კვლევებისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც, თავის მხრივ, ფასდება ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე P – D – C – A. 2. გარე ხარისხის კონტროლის სისტემა: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი, ასევე, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა. არსებული სასწავლო პროგრამების/სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, მისი გაუმჯობესების მიზნით, ეფუძნება გიმნაზიის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მასწავლებელთა/კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდებიდან გამოყენებულია SWOT ანალიზი, მონაცემთა ორგანიზების შემდეგ პრობლემების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული ჯგუფი გამოკვეთს იმ საკითხებს, სადაც არასასურველი შედეგი დაფიქსირდება და იწყებს დამდგარი შედეგის გამომწვევ მიზეზებზე ფიქრს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. პედაგოგები ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და განვლილ წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განხორციელებული დაკვირვების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით თითოეული კლასისთვის ამზადებენ საგნობრივ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს), რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კლასის დამრიგებლები კი ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, კონკრეტული კლასისთვის, ერთ სემესტრზე ამზადებენ სადამრიგებლო გეგმას. კათედრა განიხილავს რა პედაგოგების მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებს (მატრიცებს), გასცემს უკუკავშირს კონკრეტულ გეგმასთან დაკავშირებით. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით ტარდება პედაგოგიური საბჭოს კრება, სადაც განიხილება და მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმა . მოცემულ პროცედურებში მნიშვნელოვანი როლი აქვს კათედრას. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ეწევა სასწავლო პროცესის მონიტორინგს: ესწრება საგაკვეთილო პროცესებს და აკვირდება პედაგოგის მუშაობას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. დაკვირვების შედეგები განიხილება პედაგოგთან პირისპირ გასაუბრებით. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრებისა და ტრენინგების საკონტაქტო საათების რაოდენობა დაზუსტებულია მთავრობის N390 დადგენილებით. პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვის მენეჯერის, ორგანიზატორის მოვალეობებიც. პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) განვითრების მექანიზმები. პროცედურის მიზანია უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმის, კურიკულუმის შესაბამისობა სკოლის სტრატეგიასთან, ხარისხობრივ სტანდარტებთან და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან, საჭიროებებთან და დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამების განვითარებაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტის გუნდის თითოეული წევრი, მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების და კომპეტენციების ფარგლებში. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი ექვემდებარება მონიტორინგსა და შეფასებას; შეფასების შედეგები საბოლოო ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განიხილება კათედრისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ. გიმნაზიას ასევე წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მექანიზმები, დოკუმენტის მიზანია სკოლის სწავლა-სწავლების ხარისხის რეგულირება. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება : ა) დამრიგებლის მუშაობის შეფასება; ბ)კათედრების მუშაობის შეფასება; გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება; დ) სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები; რესურსები, დამხმარე მასალები.. ე) განმავითარებელი შეფასებები/შეფასებები ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები; ინდივიდულაური სასწავლო გეგმები. ზ) სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა; თ) მშობელთა ჩართულობა; ი) სკოლის უსაფრთხოება; კ) შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი; ლ) პედაგოგების შეფასება; მ) საგაკვეთილო პროცესის ხარისხი; ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება სკოლის დირექტორს. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. (პედსაბჭო,მშობელებთან შეხვედრები) სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო წლის სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გიმნაზია 21-ე საუკუნის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი • სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მექანიზმები • მონიტორინგის გეგმა • შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის 2021-2022 სასწავლო წლის • ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები • შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის 2022-2028 სასწავლო წლის • ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა (პროექტი); • გასაუბრება დირექციასთან/ მასწავლებლებთან/ მშობლებთან/ მოსწავლეებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	**შპს გიმნაზია 21-ე საუკუნემ წარმოადგინა გაკვეთილების ცხრილი, სადაც ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს უტარდებათ 7-8 გაკვეთილი. მოცემული დატვირთვის ფონზე მოსწავლეებისათვის სასარგებლო იქნება, თუ დასვენებების ხანგრძლივობა გაიზრდება. სკოლა 6 სართულზეა განლაგებული და 5 წუთიანი (მხოლოდ ერთი 10 წუთიანი) დასვენებები მცირე დროა მოსწავლეთა სკოლაში გადაადგილებისა და კვების ბლოკით სარგებლობისათვის.** **გიმნაზიაში V-XII კლასებში გაძლიერებული უცხოური სწავლების ფონზე მოსწავლეებისათვის კვირეული საგაკვეთილო დატვირთვა საკმაოდ მაღალია, დღიურად 7-8 გაკვეთილი. სპორტის გაკვეთილები მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და გაკვეთილებს შორის აქტიური დასვენებისათვის. 7-8 ყოველდღიური გაკვეთილისა და მცირე პაუზიანი დასვენებების რეჟიმის ფონზე სასურველია მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილების დატვირთვა გაიზარდოს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე, საიდენტიფიკაციო კოდი **245433865**, მდებარეობს ქალაქი ბათუმში, პუშკინის ქუჩა N160 (იურიდიული მისამართი იგივე). აღნიშნულ მისამართზე, სკოლა, იჯარის ხელშეკრულებისა და მასზე დართული 2022 წლის 28 იანვარს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, იჯარით ფლობს 6-სართულიან შენობა-ნაგებობას, რომლის ფართი შეადგენს **961,6 კვ.მ -ს.** იჯარის მოქმედების ვადაა 2032 წლის 01 სექტემბრი.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, პუშკინის ქუჩა N160
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**05.27.10.014**
კვ.მ.	შენობა-ნაგებობის-961,6
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • იჯარის ხელშეკრულება და შეთანხმება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის შესახებ ავტორიზაციის მიზნებისთვის, მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნა ონლაინ (დისტანციური) ჩართვის შედეგად, დაწესებულების წამომადგენლების დახმარებით, ვიდეოკამერის საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დისტანციური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობაში, რომელიც 6-სართულიანია, 21 მოქმედი საკლასო ოთახია. საკლასო ოთახებში განთავსებულია 300 ინდივიდუალური მერხი და სკამი, ამის გარდა სკოლას დასაწყობებული აქვს 130 ერთეული მერხი და სკამი. საგულისხმოა, რომ ტრადიციულად, წლების განმავლობაში სკოლაში სწავლა ორ ცვლიანია, ამასთან სკოლა ორ სექტორიანია (ქართულ/რუსული). საკლასო ოთახები ასევე აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, დაფებით, თვალსაჩინოებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით. გარდა ამისა, სკოლაში არის საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო დირექტორის და დირექტორის მოადგილის კაბინეტები, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი და სხვა დამხმარე სათავსოები. ამასთან სკოლაში არის რუკები, პოსტერები, სხვადასხვა საგნის თვალსაჩინოებები. **თვითშეფასების კითხვარში სკოლას მითითებული აქვს მოსწავლეთა სასურველი ზღვრული რაოდენობა 580. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეთა მომსახურეობის შესაძლებლობას მხოლოდ ორცვლიანი მომსახურეობის (სწავლა სწავლების პროცესის) შემთხვევაში, ვიზიტის პერიოდისთვის პირველ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცვლაში (V-XII კლასები) სწავლობს 269 მოსწავლე, მეორე ცვლაში (I-IV კლასები) 157 მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში მოწყობილია სტადიონი მინიფეხბურთისთვის და კალათბურთისთვის. ცუდი ამინდის პირობებში სკოლა, შენობაში არსებულ საკონფერენციო დარბაზს იყენებს სპორტული დარბაზის დანიშნულებითაც. სკოლას შეძენილი აქვს სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ჩოგბურთის მაგიდა, სხვადასხვა სახის ბურთები, ლახტები, ჰულაჰუპები, კრივის ტომარა და ხელთათმანი და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორიაში მოწყობილია ონკანი ნიჟარით, ლაბორატორიას აქვს ფართო ფანჯრები, რაც ბუნებრივი განათება/განიავების საშუალებას იძლევა. არის სადემონსტრაციო ცდის ჩატარების შესაძლებლობა, ლაბორატორიაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი ნოუთბუკი, პროექტორი და ეკრანი, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვირტუალური ცდების დემონსტრირება ფართო ეკრანზე. სკოლას აქვს სტანდარტული (208 დასახელების) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომელიც გადანაწილებულია საგნების შესაბამისად, კარადებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისა დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ფართო ფანჯრები საკლასო ოთახებს უზრუნველყოფს კარგი ბუნებრივი განათებით. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის ქვაბით. ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს. სკოლის ექვსივე სართულზე არსებულ ოთახებს და მათ შორის ყველა საკლასო ოთახს, აქვს კეთილმოწყობილი, ინდივიდუალური სველი წერტილები. ყველა საკლასო ოთახში შესვლამდე არის სივრცე (პატარა ოთახი) საიდანაც ერთი კარი შედის საკლასო ოთახში, მეორე კარით კი ამ საკლასო ოთახისთვის განკუთვნილ სველ წერტილში. შენობის ასეთი კონფიგურაცია აიხსნება იმით, რომ შენობა აშენდა სასტუმრო მომსახურეობისთვის, ამდენად საერთო სველი წერტილები პროექტით არაა გათვალისწინებული. ყველა სველ წერტილში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და კოვიდრეგულაციების ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი. სკოლა აწარმოებს წიგნების აღრიცხვას საინვენტარო წიგნებში და ელექტრონულად - ექსელში. სულ აღრიცხულია (1491 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ქართული და არაქართულენოვანი და 234 სახელმძღვანელო. სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემა „ახალი განათლება“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე ბიბლიოთეკის დებულება; საინვენტარო წიგნები; წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას კიბეებზე მოწყობილი აქვს ასაკეცი პანდუსები, და რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლაში მხოლოდ ინდივიდუალური საპირფარეშოებია, თითოეულ ოთახთან, სკოლის ადმინისტრაციის ოთახში არის ადაპტირებული სველ წერტილი ეტლით მოსარგებლისთვის. ამასთან ერთად სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამატებით კიდევ იმ კლასთან მოაწყობს ადაპტირებულ სველ წერტილს, რომელ კლასშიც ეყოლება ასეთი საჭიროების პირი. გარდა ამისა, სკოლას აქვს რესურსოთახი (ფსიქოლოგის ოთახი) და სასწავლო რესურსები სსსმ მოსწავლეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 30 კომპიუტერია. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 18 კომპიუტერი. სკოლაში ასევე არის პრინტერები და ქსეროქსები. სკოლის შენობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი https://www.gimnazia21.ge/. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის მისია, სკოლის გუნდის შესახებ, შინაგანაწესი, სკოლაში მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტები, სიახლეები, და სხვა. ინფორმაციის მიღება ქართულ ენასთან ერთად, შესაძლებელია რუსულ ენაზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარდა ვებ-გვერდისა საინფორმაციო და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია ასევე სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე https://www.facebook.com/gimnazya21
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება; კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შენობა აღჭურვილია კვამლზე რეაგირების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. საქალაქო წყალმომარაგების ქსელიდან შენობაში გაყვანილია სახანძრო ონკანების სისტემა, ყველა სართულზე არის სპეციალური ღიობები, სადაც სახანძრო ონკანებთან ერთად არის ე.წ. „სახანძრო სახელური“ და ცეცხლმაქრი. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“, რომლებიც სხვა საგანგებო სიტუაციებთან ერთად ითვალისწინებს (მათ შორის, ხანძრის შემთხვევაში) მოქმედებას/ რეაგირებასა და ამ რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების შეძენაზე და ჩუქებაზე; საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება; „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმა სკოლაში სხვადასხვა ადგილას განთავსებულია ნიშნულები - საევაკუაციო გასასვლელების მითითებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია იმ აუცილებელი ინვენტარითა და მედიკამენტებით, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან , შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების დანართი №37.3 „პირველადი სამედიცინო დახმარება და სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესში“. გარდა ამისა სამედიცინო კაბინეტში არის ნიჟარა ონკანით. სკოლას ჰყავს ექთანი და შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ აღნიშნული წესით რეგულირდება, როგორც სკოლის ექთნის მიერ მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სამედიცინო მომსახურეობის წესი, ასევე, მის მიერ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მათზე რეაგირების თანმიმდევრობა, სადეზიფენქციო ხსნარების გამოყენების წესი და სხვა. ექთანი აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეულ პროცედურების და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას; მედიკამენტების გაცემის ჟურნალს; მოსწავლეთა ჰიგიენური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დათვალიერების ჟურნალს; სადეზინფექციო საშუალებების გაცემის ჟურნალს; ასევე აღრიცხავს შენობის სანიტარულ-ჰიგიენური დათვალიერების შედეგებსა და რეაგირების შესახებ ინფორმაციას. საქართველოში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, ხდება სკოლაში ვიზიტორთა აღრიცხვა და ტემპერატურის შემოწმება, შენობის შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერები. შენობაში ყველგან ხელმისაწვდომია სადეზინფექციო სითხის მოწყობილობები, შენობაში გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; პირველადი სამედიცინო დახმარების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების "შესაბამისად, შემუშავებული აქვს შპს „განათლება 21-ე საუკუნის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (შეთანხმების წერილი MES 0 21 0001431823, 29/12/2021) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N01-03/106 ბრძანებით. გარდა ამისა, სკოლას მომსახურეობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „MBG შრომის უსაფრთხოებასთან", ხელშეკრულების საგანია „უზრუნველყოს შრომის სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩამოყალიბებას და აკრედიტირებული სპეციალისტის გამოყოფა“. აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შექმნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,, სკოლის “უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. კამერების მონიტორინგს აწარმოებს უსაფრთხოების მენეჯერი. მასთან ერთად, კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე ადმინისტრაციის სამუშაო ოთახში, ამავე ოთახშია დირექტორის სამუშაო მაგიდა. სკოლის შენობების შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდება 16 ვიდეოკამერის საშუალებით. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 4 კამერა. მათგან 2 კამერა დამონტაჟებულია შენობის მთავარ და 2 სათადარიგო შესასვლელზე. ამ 4 გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კამერების შესყიდვის ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეს შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სკოლის მიზნები, ამოცანები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, შეწყვეტის, შრომითი ურთიერთობის პირობების, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესები; წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, განაცხადის/საჩივრის განხილვის წესი და სხვა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეკომენდაციები და შინაგანაწესში განახორციელა ცვლილებების შეტანა. ცვლილების თანახმად საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანა ორსულობისა და მშობიარობის, ასევე ბავშვის მოვლის გამო შვებულების ვადები, ასევე ცვლილების შედეგად განისაზღვრა დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი უფლებამოსილი და დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული (სკოლის დირექტორი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,, სკოლის“ წესდება; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის დებულება; სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები; დირექტორის ბრძანება სკოლის დებულების და შინაგანაწესის დამტკიცებაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი 2021/2022 წწ სამოქმედო და ექვსწლიანი 2016/2022 წლების სტრატეგიული გეგმები. ასევე წარმოადგინა ექვსწლიანი გეგმის პროექტი 2022/2028 წწ და 2020/2021 წლების SWOT ანალიზი. მოქმედ ექვსწლიან გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის განსაზღვრული აქვს ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგი და შესრულების ვადები. პრიორიტეტული მიმართულებებს შორისაა „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ხარისხიანი სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უზრუნველსაყოფად“, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს აღჭურვას სათანადო სასწავლო რესურსით - კომპიუტერების განახლებით; სკოლის შენობის გარემონტებას, ლაბორატორიის მოწყობა/გაუმჯობესებას; ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა წიგნებითა და ახალი ავეჯით, და სხვა. რაც შეეხება მის შემადგენელ (2021/22) ერთწლიან სამოქმედო გეგმას, განვითარების სტრატეგიული მიმართულება - მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში სკოლა მიმდინარე წელს მოიაზრებს სკოლაში მიმდინარე რემონტის ჩატარებას, სადეზინფექციო ხსნარების და სარეცხი საშუალებების შეძენას; კაბინეტების მოწყობას სასწავლო ინვენტარით; წელს აპირებენ კომპიუტერების შეძენას და ლაბორატორიის განახლებასაც. თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს ვინაა პასუხისმგებელი მის შესრულებაზე, ასევე მითითებულია შესრულების ინდიკატორი და პერიოდი. სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმები, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, და როგორც ზემოთ აღინიშნა მათში გათვალისწინებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა; 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი; 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის სვოტ ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს, სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლიდან. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება 4 სახის ბრძანებები: ბრძანებების ძირითად საქმიანობაზე; ბრძანებები ადმინისტრაციულ საქმიანობაზე; ბრძანებები მოსწავლეთა შესახებ და ბრძანებები პირად შემადგენლობაზე. თითოეული სახის ბრძანება რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში. საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლა ასევე ახდენს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციას; მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაციას. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები; შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები; შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ერთიანი საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში მიმდინარე ეტაპზე ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის რაოდენობა საშტატო განრიგით 21-ია. მათ შორის: დირექტორი 1 დირექტორის მოადგილე 1 ორგანიზატორი 1 ხარისხის მართვის მენეჯერი 1 იურისტი 1 ბუღალტერი 1 ბიბლიოთეკარი 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმისწარმოებელი 1 საინფორმაციო მენეჯერი 1 უსაფრთხოების მენეჯერი 1 აიტ მენეჯერი 1 ტექნიკური მენეჯერი(მნე) 1 ფსიქოლოგი 1 ელექტრონული ჟურნალის მენეჯერი 1 ექთანი 1 მოლარე ოპერატორი 1 ელექტრიკოსი 1 დამლაგებელი 4 სკოლას ორივე სექტორზე ჰყავს 49 მასწავლებელი. მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც მათი სტატუსების შესაბამისადაა გაწერილი მოვალეობები. რუსულ სექტორზე მომუშავე 11 მასწავლებელი პრაქტიკოსია, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებელი, საქ. მთავრობის #241დადგენილებით ისინი 2022-2023 სასწავლო წლის ბოლომდე ინარჩუნებენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს. **დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისტ-ის პრაქტიკოს მასწავლებელს რუსულ სექტორზე ჰქონდა 9, ხოლო ქართულზე 2 საათი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. გიმნაზიის ადმინისტრაციამ ეს ახსნა იმით, რომ კონკურსი გამოაცხადეს, მაგრამ კადრის შერჩევა ვერ მოხერხდა, ამიტომ მოცემული მასწავლებელი დროებით ქართულ სექტორზე ატარებს ამ 2 საათს.** **გიმნაზიის ერთი პრაქტიკოსი მასწავლებელი ელოდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის დადასტურებას, სკოლას განაცხადი აქვს წარდგენილი მპგეც-ში.** სკოლის ბიბლიოთეკარი ამავე დროს არის რუსული ენის მასწავლებელი და ქართულ სექტორზე ასწავლის რუსულ ენას. მას ჰქონდა სრული დატვირთვა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და ვიზიტის მიმდინარეობისას აიყვანა ბიბლიოთეკარი. დამატებით გადმოგზავნილ მასალებში არის მასთან გაფორმებული ხელშეკრულებაც. სკოლის ყველა მოწვეულ მასწავლებელს აქვს 9 საათიანი დატვირთვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვა შემთხვევებში, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა საათობრივი-დატვირთვა-II-სემესტრი-ტარიფიკაცია • დამტკიცებული საშტატო განრიგი; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • პერსონალის მონაცემები; • სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	49 (3 მოწვეული მასწ)
მაძიებელი	0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	11 (რუსულ სექტ)
უფროსი მასწავლებლი	33
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში ყველა მასწავლებელი ჩართულია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. მასწავლებელთა პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დოკუმენტაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გიმნაზიის სასწავლო საგნობრივი პროგრამებისა და საათობრივი ბადის შესაბამისად, მასწავლებლები შერჩეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციით. მასწავლებლების შეირჩევა ხდება შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი • საშტატო განრიგი • საათობრივი ბადე • მასწავლებელთა პირადი საქმეები • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები • ინტერვიუ ადმინისრაციასთან/მასწავლებლებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თანამშრომელთა მიღება (გარდა მასწავლებლებისა) ხდება კანდიდატთან დირექტორის გასაუბრების გზით. მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილია მასწავლებელთა შერჩევის წესები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების პირობები, კონკურსის გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. სკოლის შინაგანაწესში ასევე ასახულია შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორისაა: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. თანამშრომელთა წახალისების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი. შინაგანაწესის 39-ე - 42-ე მუხლები მთლიანად ეთმობა დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოების წესს. მუხლებში დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და თითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელები, განმეორების შემთხვევაში გამკაცრებული სახდელის შესახებ, მაგრამ ვიზიტამდე არ იყო განსაზღვრული დისციპლინური დევნის განმახორციელებელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირი/სტრუქტურული ერთეული, თუმცა სკოლამ ვიზიტის დროსვე მოახდინა რეაგირება და შეიტანა ცვლილება შინაგანაწესში .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და შემუშავებულია მისი დებულება. დებულების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფი, სქემის შესაბამისად, წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმავლობაში უფროს მასწავლებელს ესწრება მინიმუმ სამჯერ, წამყვანს მინიმუმ ორჯერ, ხოლო მენტორს - მინიმუმ ერთხელ და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, აღნიშნული ჯგუფი აფასებს მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოში განთავსებულ, მისი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას. სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების რუბრიკა. ასევე დასწრების შემდეგ განმავითარებელი შეფასების და ანალიზის ნიმუშები. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუირებისას, ყოველდღიურად გვერდში უდგას მასწავლებლებს და კონსულტაციებით ეხმარება ამა თუ იმ პრობლემების გადაჭრაში. 2020-2021 წლებში სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს ონლაინ ტრენინგები: Zoom-ის გამოყენება სასწავლო პროცესში“ - 2020 წ; „თემატური გეგმების (მატრიცების) და კომპლექსური დავალებების შექმნა ახალი ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად“ – 2020; „მოსწავლის შეფასება“ -2020; “ციფრული რესურსის შექმნა“-2021; „აქტიური სწავლების გამოყენება კომპლექსური დავალებების შესასრულებლად“ 2021; სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილ მასალებში მოცემულია ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები. სკოლის იურისტმა გაიარა ტრენინგი მენტორინგის შესახებ; სკოლის ბუღალტერმა გაიარა სატრენინგო პროგრამა თემაზე „კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ“. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურეობის ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გამოყოფაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა გააკეთა სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები დაწესებულების თანამშრომლებთან, რომლის მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების შესახებ დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება გეგმიური სწავლებითა და ინსტრუქციებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; გაკვეთილზე დასწრებისა და განმავითარებელი შეფასების მასწავლებლების სერთიფიკატები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო საზოგადოება ძალიან მრავალფეროვანი და მრავალეროვანია, სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. სკოლის საერთო კულტურის მიზნების მისაღწევად გიმნაზიას განსაზღვრული აქვს შესაბამისი ნაბიჯები. კერძოდ, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებისთვის ხდება მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის წახალისება სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების საშუალებით. მაგალითად სკოლაში ჩატარდა აქტივობა ,,კავკასიური ახალი წელი“ სადაც სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ქვეყნის ტრადიციები, რაც ურთიერთპატივცემის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. სასკოლო საზოგადოების შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად იმართება გამოფენები და სასკოლო კონკურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გიმნაზიაში იმართება სპორტული გამაჯანსაღებელი თამაშები, შეჯიბრები და ესტაფეტები ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ასევე მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა პრეზენტაციებსა და პოსტერებს ჯანსაღი ცხოვრების წესის თემატიკაზე. სასკოლო კულტურის მექანიზმები განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამებში და ანგარიშებში ასახულია მათი შესრულების ანალიზი. დაგეგმილია არაერთი სასკოლო პროექტი, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობა, სადაც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა ორ სექტორიანია. მეტი ნაწილი მოსწავლეებისა სწავლობს რუსულ სექტორზე (რუსული სექტორი 370 მოსწავლე, ქართული სექტორი 56 მოსწავლე). ვიზიტამდე რამოდენიმე ხნით ადრე სკოლას მიაკითხეს უკრაინიდან ლტოლვილმა ოჯახებმა, მათი შვილის გიმნაზიაში სწავლის გაგრძელების თხოვნით, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა გიმნაზიის მიერ, და რომელთაც სკოლამ შეუქმნა კომფორტული გარემო, მათ შორის გადასახადის თვალსაზრისითაც. აღნიშნულის შესახებ სიუჟეტები გააკეთა რამოდენიმე ტელევიზიამ იხილე ბმულები: https://www.youtube.com/watch?v=KpEFPGUjU14 და აჭარის ტელევიზიის სიუჟეტი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. სასკოლო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 18.04.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.